MES 7 23 0001322793

07/10/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 22. 09. 2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო:17: 45 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. რატი რატიანი - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. ნინო ბაქრაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. ირინე ებრალიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6. ქეთევან ზურაშვილი - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.
7. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
8. მარინე მაისურაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

9. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

10. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი.

11. მარინა ქავთარაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი

12. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

13. ნინო ღაღანიძე - სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.

14. ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;

15. თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;

16. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;

17. გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;

18. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებულის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	**სტატუსი**
თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	თეა კორძაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**I, II**
2	ინგა აბრამიძე		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**I, II**
3	ტატიანა ჯავახიშვილი		საბაკალავრო პროგრამის „საშემსრულებლო ხელოვნება“	**I, II**

		სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხელმძღვანელი	
4	ირინა სარუხანოვა		საბაკალავრო პროგრამის „საშემსრულებლო ხელოვნება“ ხელმძღვანელი	**I, II**
5	რუსუდან ლორთქიფანიძე		პროგრამის განმახორციელებელი	**I, II**
6	მირანდა მნაცაკანიან		ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**I, II**
7	ქეთევან ჩიქვინიძე		საბაკალავრო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)" ხელმძღვანელი	**I, II**
8	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**III**
9	მაკა ლაშხია	**სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**III**
10	თამარ ცაგარელი		პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
11	ნინო მატარაძე		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	**III**
12	თამარ გეთიაშვილი		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	**III**
13	გიორგი ჩართოლანი	**სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**
14	ანანო სამსონაძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**IV**
15	ლაურა კუტუბიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**
16	ნატო გენგიური		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის	IV

			ხელმძღვანელი	
17	კონსტანტინე შუბითიძე	**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროგრამის ხელმძღვანელ	**V**
18	რევაზ ჯორბენაძე		სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**V**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	რიმა პოვილიონიენე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	თამარ ჩხეიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
4	მარიამ გორგოძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ნინო ჭოღოშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	თამთა თურმანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	მაგდა მემანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	ირაკლი მანველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
9	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საშემსრულებლო ხელოვნების“ (კლავიშიანი საკრავები/სიმებიანი საკრავები/ჩასაბერი საკრავები/ვოკალი/საგუნდო დირიჟორობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიომეცნიერებების“ (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გრაფიკის ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურა მედიაში“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა თამთა მოხევიშვილმა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით კერძოდ, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგები აკრედიტაციის საბჭოს მომავალ სხდომაზე განეხილა. საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილეს.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საშემსრულებლო ხელოვნების“ (კლავიშიანი საკრავები/სიმებიანი საკრავები/ჩასაბერი საკრავები/ვოკალი/საგუნდო დირიჟორობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიომეცნიერებების“ (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გრაფიკის ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურა მედიაში“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

1. პირველი საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საშემსრულებლო ხელოვნების“ (კლავიშიანი საკრავები/სიმებიანი საკრავები/ჩასაბერი საკრავები/ვოკალი/საგუნდო დირიჟორობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საშემსრულებლო ხელოვნება (კლავიშიანი საკრავები/ სიმებიანი საკრავები/ ჩასაბერი საკრავები /ვოკალი/ საგუნდო დირიჟორობა)

		Performing Arts (keyboard instruments/string instruments/wind instruments/vocals/choir conducting)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№266, 19.12.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საშემსრულებლო ხელოვნება მიმართულებები: ფორტეპიანო, საორკესტრო (სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი) საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	პროგრამაზე ეროვნული გამოცდებით, გამოცდების გარეშე და მობილობით (გარე და შიგა) მიღების აუცილებელი წინაპირობაა შემოქმედებითი ტურის (სპეციალობა და მუსიკის თეორია) ჩაბარება. შემოქმედებითი ტური ტარდება ეროვნულ გამოცდებამდე.
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში Bachelor of Music Arts in Performing Arts
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 - მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, 4600, საქართველო, პირველი კორპუსი, მე-3 კორპუსი, 23-ე კორპუსი (კ. გამსახურდიას 43ა)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი რიმა პოვილიონიენე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საშემსრულებლო ხელოვნების“ (კლავიშიანი საკრავები/სიმებიანი საკრავები/ჩასაბერი საკრავები/ვოკალი/საგუნდო დირიჟორობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. მისი თქმით, 60-გვერდიან დასკვნაში მოცემული იყო ექსპერტების მოსაზრებები აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით. ის რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც გაიცა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ, ემსახურება პროგრამის გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანი რეკომენდაციები მოცემული იყო პირველ სტანდარტში კერძოდ, 1.4 და 1.5 კომპონენტში. ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. რიმა პოვილიონიენემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფში მომუშავე ექსპერტებმა ჩამოაყალიბეს რეკომენდაციები მესამე და მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით. მესამე სტანდარტი ეხებოდა სტუდენტებს, ხოლო მეოთხე სტანდარტი რესურსებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, თეა კორძაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, რამდენიმე რეკომენდაცია ეხებოდა მემორანდუმებს. უნივერსიტეტმა უკვე დაიწყო მუშაობა ამ მიმართულებით. ხელშეკრულება გაფორმდა ქუთაისის ოპერის თეატრთან. უნივერსიტეტმა დაიწყო საბიბლიოთეკო ბაზების შემენა, რაც აუცილებელი იყო პროგრამის განსახორციელებლად. პროგრამის ხელმძღვანელმა, ტატიანა ჯავახიშვილმა პირველ სტანდარტში კერძოდ, 1.2. და 1.3 კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ სრულად გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაციები. მისი თქმით, გადაიხედა და დაკორექტირდა კურიკულუმის რუკა გუნდის მომღერალთან დაკავშირებით. 1.4 კომპონენტთან მიმართებით აღნიშნა, რომ რეკომენდაცია შეიცვალა რჩევით. უნივერსიტეტმა მიიჩნია, რომ კურიკულუმსა და სასწავლო გეგმაში კრედიტების რაოდენობა განაწილებული იყო მიზნობრივად, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან შეთანხმებით, შესაბამის სემესტრში განსაზღვრული მასალის მოცულობის მიხედვით. 1.5 კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საშემსრულებლო სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი იყო სარეპერტუარო მოთხოვნები, მითითებულ სემესტრში შესასწავლი რეპერტუარის სირთულის ზრდის მიხედვით. მაგალითად, ფორტეპიანო ერთის სილაბუსში მითითებული იყო ნაწარმოებების ჩამონათვალი, რომელთა სწავლაც მოეთხოვებოდა სტუდენტს. მეექვსე და მერვე სილაბუსში ნათლად ჩანდა შესასწავლი მასალის ზრდის სირთულე პროგრამის

მიხედვით. რეკომენდებული იყო სასწავლო მასალის განახლება. ხშირად რეპერტუარი შემოიფარგლებოდა კლასიკური რომანტიკული პერიოდის მუსიკით, კანონზომიერების შესწავლით. ტატიანა ჯავახიშვილის თქმით, გადაიხედა სილაბუსები და თითქმის ყველგან იყო მითითებული XX საუკუნის კომპოზიტორები, განსაკუთრებით ქართულ მუსიკაში. სტუდენტთა შეფასების ფორმებთან დაკავშირებით გაცემული იყო რეკომენდაცია. მან აღნიშნა, რომ სტუდენტის შეფასების ფორმები, მეთოდები და რუბრიკები დეტალურად იყო აღწერილი სილაბუსებში, რაც აკმაყოფილებდა სასწავლო კურსების მიზნებს. სტუდენტის შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე საგამოცდო ბილეთი შედგებოდა სამი ან ოთხი საკითხისგან. გამოცდაზე ორი თეორიული საკითხი იყო, ხოლო დანარჩენი პრაქტიკულ - ანალიტიკური ხასიათის. მისი თქმით, გადაიხედა თანამედროვე შემსრულებლობის სასწავლო კურსი და დაემატა პრაქტიკული კომპონენტი. რეკომენდებული იყო, რომ განახლებულიყო სავალდებულო ლიტერატურა „ქართული მუსიკის ისტორიაში“, „ფორტეპიანოს ხელოვნების კურსების ისტორიასა“ და „ჩასაბერი ინსტრუმენტების საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიაში“. ტატიანა ჯავახიშვილის თქმით, უნივერსიტეტს ქონდა რუსუდან წურწუმიას საფუძვლიანი ნაშრომი - „ქართული მუსიკის ისტორია 1. უძველესი დროიდან XX საუკუნემდე“, რომელიც აქტიურად გამოიყენებოდა ქართული მუსიკის სასწავლო კურსის შესწავლისას პირველ სემესტრში. რეკომენდებული იყო, თეორიულ დისციპლინებში ზოგიერთი შემოქმედებითი ამოცანის ჩართვა. მისი თქმით, საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამაზე არ იყო შემოქმედებითი ამოცანები და შემოფარგლული იყო მხოლოდ პრაქტიკული ანალიტიკური კომპონენტით. უნივერსიტეტი არ დაეთანხმა პედაგოგიურ პრაქტიკასთან გაცემულ რეკომენდაციას იმიტომ, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, პირი პედაგოგი გახდება მაშინ, თუ ის გაივლის 60 კრედიტიან მასწავლებლის პროგრამას. საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამას სხვა მიზანი და ამოცანა ჰქონდა. დასაქმების სფეროს არ წარმოადგენდა პედაგოგად მუშაობა. იმ შემთხვევაში თუ არსებული კანონმდებლობის მიხედვით უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გაივლიდა 60 კრედიტიან მასწავლებლის პროგრამას, დამოუკიდებლად გადაწყვეტდა თუ სად დაიწყებდა მუშაობას. თეა კორძაძის თქმით, დაწესებულება პლაგიატთან დაკავშირებით რეკომენდაციას იზიარებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა ექსპერტებს მიმართა, რომ პედაგოგიურ პრაქტიკასთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მოეწოდებინათ აკრედიტაციის საბჭოს წევრებისათვის. გარდა ამისა, მან კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, როგორია მემორანდუმების კავშირი პროგრამასთან მიმართებით. უცხოელმა ექსპერტმა რიმა პოვილიონიენემ უპასუხა, რომ მეორე სტანდარტში პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებით იყო რეკომენდაცია გაცემული იმიტომ, რომ პროგრამის აღწერილობა იძლეოდა იმის შესახებ ინფორმაციას, რომ კურსდამთავრებული დასაქმდებოდა მუსიკის მასწავლებლად. მისი თქმით, ექსპერტები არ იყვნენ ინფორმირებულები იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტს გააჩნდა 60 კრედიტიანი მასწავლებლის ინდივიდუალური პროგრამა. შესაბამისად, რეკომენდაცია გაიცა იმის თაობაზე, რომ პედაგოგიური პრაქტიკა გათვალისწინებული ყოფილიყო პროგრამაში იმისათვის, რომ სტუდენტს შეძლებოდა დასაქმება მასწავლებლად სამუსიკო ან საშუალო სკოლაში. ქართველმა ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში აღინიშნებოდა ის, რომ კურსდამთავრებულს ექნებოდა პედაგოგად მუშაობის გამოცდილება. 60 კრედიტიანი პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ეძლეოდა უფლება, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ემუშავა პედაგოგად. რეკომენდაცია კი ეხებოდა პედაგოგიურ პრაქტიკას, რომელიც კურსდამთავრებულს მისცემდა დამატებით პრაქტიკულ უნარებს, რათა პედაგოგიური საქმიანობა განეხორციელებინა სამუსიკო სკოლაში, რომელშიც დასაქმებას 60 კრედიტიანი პროგრამის გავლა არ სჭირდებოდა არსებული კანონმდებლობის მიხედვით. საბჭოს წევრმა ნინო ბაქრაძემ, კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ 1.5 კომპონენტთან მიმართებით გაცემული იყო ორი

რეკომენდაცია. ერთი ეხებოდა რეპერტუარის სემესტრულად გაწერას, ხოლო მეორე რეპერტუარის გამდიდრებას XX-XXI საუკუნის ნაწარმოებებით. მას აინტერესებდა, აღნიშნული გაცემული ორი რეკომენდაცია ყველა დისციპლინას ეხებოდა თუ ე.წ. სპეციალური ბლოკის საგნებს. გარდა ამისა, რამ განაპირობა 2.2 კომპონენტთან მიმართებით რეკომენდაციის გაცემა? ასევე, რომელ დისციპლინებში იყო შესაძლებელი როლური თამაშებისა და დისკუსიის დამატება? ნინო ბაქრაძემ ექსპერტებს მიმართა, რომ ელექტრონული ბაზების დამატებასთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მიეწოდებინათ აკრედიტაციის საბჭოს წევრებისათვის. უცხოელმა ექსპერტმა რიმა პოვილიონიენემ უპასუხა, რომ შემოქმედებითი დავალება ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმიტომ, რომ სტუდენტს უვითარებდა შემოქმედებით უნარს. პროფესორმა სტუდენტს უნდა ასწავლოს თუ როგორ უნდა შექმნას ნაწარმოები, რათა მას განუვითარდეს შემოქმედებითი უნარ-ჩვევები. ქართველმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ყველა სასწავლო კურსში, რომლებიც შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე იყო ორიენტირებული და სადაც სემესტრულად მოცემული იყო რეპერტუარი, ნაკლოვანება იგრძნობოდა თანამედროვე XX და XXI საუკუნის მუსიკის. ფორტეპიანოს სპეციალობაზე რეპერტუარის თანდათანობით გართულებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ რამდენიმე სასწავლო კურსში არა. აკადემიურ პერსონალს არ შეეძლო არათანაბარი განაწილება კრედიტებისა სპეციალობის სასწავლო კურსებში. მისი თქმით, ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, არაუმეტეს 30 კრედიტი უნდა შეედგინა ვერტიკალში საგნების ჯამს. შესაბამისად, რეკომენდაცია შეიცვალა რჩევით და დაწესებულებას მიეცა ფიქრის საშუალება ამ მიმართულებით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა იყო თანამედროვე და შესაბამისი დადგენილ სტანდარტებთან. რეკომენდებული იყო, რომ უნივერსიტეტს შეეძინა საბიბლიოთეკო ბაზები. ნინო ბაქრაძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, XX და XXI საუკუნის მუსიკას ასრულებდნენენ თუ არა სტუდენტები? ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამას დაემატა ცალკე კურსი, რომლის ფარგლებში სტუდენტები ასრულებდნენ XX და XXI საუკუნის მუსიკას, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. პროგრამის ხელმძღვანელმა ტატიანა ჯავახიშვილმა მემორანდუმებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ქუთაისის საოპერო თეატრთან გაფორმებული ქონდა მემორანდუმი, რომელთანაც დაწესებულებას მუდმივი ურთიერთობა ქონდა. მემორანდუმის ფარგლებში კურსდამთავრებულები და სტუდენტები მუშაობდნენ საოპერო გუნდში. თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით განსაზღვრული იყო სწავლის მეთოდები. საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, დასაქმების სფეროში მოცემული იყო შემდეგი: „პროგრამის დასრულების შემდეგ სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი შესაძლებელი იყო დასაქმებულიყო სამუსიკო საგანმანათლებლო ორგანიზაციაში“. მას აინტერესებდა, უნდა ყოფილიყო თუ არა პროგრამაში პედაგოგიკის რამდენიმე საგანი, რომელიც ხელს შეუწყობდა კურსდამთავრებულს სამუსიკო და სახელოვნებო სკოლებში მასწავლებლად მუშაობაში. გარდა ამისა, დაწესებულებას ქონდა თუ არა ჩატარებული კვლევა იმის შესახებ თუ რამდენი კურსდამთავრებული მუშაობდა რეგიონში სამუსიკო და სახელოვნებო სკოლებში? ასევე, კვალიფიკაციის მინიჭება კურსდამთავრებულისათვის 240 კრედიტის გავლის მიხედვით ხდებოდა თუ ე.წ. შემაჯამებელი გამოცდით ან პროექტის შესრულებით? გარდა ამისა, სტუდენტების სწავლების საფასურის გადახდა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ხდებოდა თუ შემოსავლის სხვა წყაროდან? ასევე, დასკვნაში, კერძოდ 42-ე გვერდის ანალიზი და რეკომენდაცია იყო თუ არა ერთმანეთთან წინააღმდეგობაში? რიმა პოვილიონიენემ პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ როდესაც ვიზიტის დროს ექსპერტებს ჰქონდათ შეხვედრა დამსაქმებლებთან, მათ შორის იყვნენ საბავშვო სამუსიკო და საჯარო სკოლებიდან წარმომადგენლები. გარდა ამისა, ქუთაისის ოპერის თეატრიდან და სხვა ინსტიტუციებიდან. მისი თქმით, დაწესებულების ორიენტირება მხოლოდ ოპერაზე არ იყო მართებული. ეს იყო მხოლოდ ვიწრო ხედვა და სტუდენტის პერსპექტივისათვის არ იქნებოდა სწორი. აუცილებელი იყო, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო პედაგოგიური საქმიანობაც და სკოლების ასპექტიც. თეა კორძაძემ ერმილე მესხიას კითხვებს უპასუხა. მან აღნიშნა, რომ სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ

შესაძლებელი იყო დასაქმებულიყო სამუსიკო საგანმანათლებლო კულტურულ დაწესებულებებსა და შემოქმედებით ორგანიზაციებში, აუდიო ხელოვნების ტელე და რადიო მაუწყებლების ხმის ჩამწერ ინდუსტრიაში და სხვ. მისი თქმით, აღნიშნული ოთხწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა იძლეოდა საბაზისო ცოდნას. უნივერსიტეტი ახორციელებდა მასწავლებლის მოსამზადებელ პროგრამას პედაგოგიურ ფაკულტეტზე, სადაც 12 მოდული ჰქონდათ. ამრიგად, ამ პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს თავისუფლად ეძლეოდა საშუალება, ერთწლიანი მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის გავლის და სკოლაში დასაქმების. დაწესებულებაში მოქმედებს როგორც სახელმწიფო და შიდა საუნივერსიტეტო სტიპენდია. გარდა ამისა, უნივერსიტეტში მოქმედებდა თიბისი ბანკის სტიპენდია, რომელიც გაიცემოდა მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტზე. თეა კორძაძემ განაცხადა, რომ მოცემული პროგრამა ფინანსდებოდა როგორც სახელმწიფო, ისე უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, ხოლო სამეცნიერო კვლევითი მივლინებები ფინანსდებოდა ფაკულტეტის და საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან. ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, აკადემიური პერსონალის დაბერების პროცესი მიმდინარეობდა სამუსიკო სკოლებში, 60 კრედიტიანი პროგრამის გავლის ვალდებულება სამუსიკო და სახელოვნებო სკოლის პედაგოგებს არა ქონდათ. მას აინტერესებდა, რასა აკეთებდა უნივერსიტეტი იმისათვის, რომ 5 ან 10 წლის შემდეგ სამუსიკო და სახელოვნებო სკოლები პედაგოგების გარეშე არ დარჩენილიყო? პროგრამის ხელმძღვანელმა, ტატიანა ჯავახიშვილმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტში პროგრამაზე სწავლება ოთხი წელი ხორციელდებოდა. მანამდე არსებობდა უმაღლესი სამუსიკო კოლეჯი, სადაც ხორციელდებოდა პედაგოგიური ბლოკი, პრაქტიკა, სემინარები, მეთოდიკა და ა.შ., თუმცა შემდეგ ეს ყველაფერი კანონთან წინააღმდეგობაში მოვიდა იმიტომ, რომ კანონმა აკრძალა ბაკალავრიატში პედაგოგის კვალიფიკაციის მინიჭება. საბჭოს წევრმა მარინა ქავთარაძემ განაცხადა, რომ პროგრამაში არ ჩანდა დასაქმების სფერო და უნივერსიტეტის ვალდებულება მოემზადებინა მასწავლებელი პროგრამის ფარგლებში. პროგრამის ხელმძღვანელობას უნდა ემუშავა იმ მიმართულებით, რომ ბაკალავრიატის ფარგლებში დანერგილიყო მუსიკის მასწავლებლის პროგრამა. საბჭოს წევრმა ირინე ებრალიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს 1.2 კომპონენტთან დაკავშირებით. მისი თქმით, დოკუმენტებში, კერძოდ კურიკულუმში იყო დამატებული ერთი პუნქტი, რომელიც დაკავშირებული იყო გუნდის მომღერალთან. ექსპერტებს დასკვნაში ეწერათ, რომ უნივერსიტეტის მიერ შესრულებულ რეკომენდაციას ვერ გაითვალისწინებდნენ იმიტომ, რომ ვიზიტის შემდეგ მოხდა მისი შესრულება. მას აინტერესებდა, ის დამატება, რაც უნივერსიტეტმა გააკეთა, საკმარისი იყო იმისათვის, რომ რეკომენდაცია შესრულებულად ჩათვლილიყო? რიმა პოვილიონიენემ უპასუხა, რომ ექსპერტებმა განიხილეს ეს ცვლილება, თუმცა ვინაიდან ცვლილება განხორციელდა აკრედიტაციის ვიზიტის შემდეგ, ექსპერტებმა ვერ მოახერხეს ამის გათვალისწინება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:55
დასრულების დრო: 16:32

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საშემსრულებლო ხელოვნების“ (კლავიშიანი საკრავები/სიმებიანი საკრავები/ჩასაბერი საკრავები/ვოკალი/საგუნდო დირიჟორობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ააკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდეგნით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საშემსრულებლო ხელოვნების (კლავიშიანი საკრავები/ სიმებიანი საკრავები/ ჩასაბერი საკრავები/ ვოკალი/ საგუნდო დირიჟორობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2030 წლის 6 ოქტომბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბოლოოდ საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1.2 გუნდის დირიჟორის სწავლის შედეგი უნდა დაკორექტირდეს და უნდა ასახავდეს საგნის სპეციფიკას.
1.3 რეკომენდებულია სასწავლო გეგმის რუკის გადახედვა კონკრეტულ სწავლის შედეგებთან (3, 6, 12) და გუნდის მომღერლებთან შესაბამისობაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს სავალდებულო კურსებსა და შესაბამის სწავლის შედეგებს შორის სიზუსტე.
1.5 რეკომენდებულია, სპეციალობის ბლოკის სანიმუშო რეპერტუარის მოთხოვნების შედგენა სემესტრულად, რაც მეტად მკაფიოს გახდის იმ მასალის სირთულეს, რომლის შესწავლა და შესრულებაც მოუწევს სტუდენტ-შემსრულებელს. სასწავლო მასალა საჭიროებს განახლებას. ხშირად, რეპერტუარი შემოიფარგლება კლასიკურ-რომანტიკული პერიოდის მუსიკის კანონზომიერებების შესწავლით

- ვინაიდან შეფასების ფორმები არ პასუხობს სასწავლო კურსის მიზნებს („თანამედროვე პერფორმანსი “, „საგუნდო არანჟირება“, „ინსტრუმენტირება და პარტიტურის კითხვა“, „ჰარმონიის ისტორია და თეორია“, „მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი“, „პოლიფონია“ 1, 2) და ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რეკომენდებულია კურსის მიზნის კორექტირება, რათა იგი შეესაბამებოდეს შინაარსს და სწავლის შედეგს.

- სავალდებულოა ლიტერატურის განახლება შემდეგ კურსებზე: „ქართული მუსიკის ისტორია“ 1, სამსახიობო ოსტატობის საფუძვლები,2; „ფორტეპიანოს ხელოვნების კურსების ისტორია“ 1, 2; ჩასაბერი ინსტრუმენტების საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია.

- კურსი „თანამედროვე პერფორმანსი “ უნდა შეესაბამებოდეს სწავლის საფეხურს, რადგან ამჟამად ის არ შეიცავს პრაქტიკულ კომპონენტს და შესაბამისად არ არის ბაკალავრიატის დონეზე.

2.2 რეკომენდებულია, პედაგოგიკის მიმართულებით არჩევით კომპონენტს დაემატოს სასწავლო კურსი.

- დაკორექტირდეს დასაქმების სფეროს მეორე მუხლი.

- გაფორმდეს მემორანდუმი ქუთაისის საოპერო თეატრთან, სასწავლო გეგმის ფარგლებში, სტუდენტების თეატრალური ორკესტრისა და გუნდის საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

- დოკუმენტირებულ იქნას სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხი სხვადასხვა ანსამბლის კურსებში (ორკესტრი, გუნდი, კვარტეტი, ანსამბლი), რომლებიც საჭიროებენ დამატებით პერსონალს ან/და აღჭურვილობას.

2.3 სასწავლო გეგმაში მოცემული მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს სილაბუსებს და თვითშეფასების ანგარიშს.

- გადაიხედოს სამუსიკო-საშემსრულებლო სილაბუსებში წარმოდგენილი მეთოდები: მუსიკის სწავლების მეთოდები კურსებში სოლო, ანსამბლი და სხვა სახის შესრულებაში (კლავიშებიანი ინსტრუმენტები (ფორტეპიანო), ვოკალი, სიმებიანი ინსტრუმენტები, ჩასაბერი ინსტრუმენტები, გუნდის დირიჟორობა, ვოკალური ანსამბლი, ანსამბლის კლასი, საოპერო სწავლება, ორკესტრის კლასი, სავალდებულო ფორტეპიანო) უნდა გამდიდრდეს ისეთი მეთოდებით, როგორებიცაა დისკუსიები , შემთხვევის შესწავლა.

2.4 იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ სწორი ინფორმაცია გასაჩივრების მექანიზმთან დაკავშირებით და შეეძლოთ მისი სრულად გამოყენება, რეკომენდებულია, გასაჩივრების წესში არსებული ტექნიკური შეცდომა იმგვარად გამოსწორდეს, რომ მასში მიეთითოს სტუდენტების შესაძლებლობა გაასაჩივრონ ნებისმიერი შეფასება.

3.1 დაწესებულებამ უნდა გააძლიეროს თავისი საქმიანობა სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შესაქმნელად.

- საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამის სტუდენტები უნდა იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესის მართვის არსებულ ელექტრონულ სისტემაში.

- სტუდენტების მიერ ლექტორების შეფასების შედეგები უნდა გაანალიზდეს, რათა დაწესებულებამ მხედველობაში მიიღოს სტუდენტების უკუკავშირი.

4.4 რეკომენდებულია ელექტრონული მონაცემთა ბაზების დამატება, კონკრეტული მუსიკალური კატალოგები, რომლებიც შესაბამისია "საშემსრულებლო ხელოვნების" პროგრამისთვის.

4.5 რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ხარჯები სტუდენტთა სტიპენდიის პერსონალის განვითარებისა სამეცნიერო-მეთოდური მუშაობისათვის.

5.3 პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდებულია საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება და ამგვარად, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკებისა და მოთხოვნების ჩართვა შემდგომი განვითარებისთვის.

რჩევები:
1.1 ჩამოყალიბდეს საშემსრულებლო ხელოვნების დეპარტამენტი - დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია აწსუ-ში პროგრამის განხორციელებასა და სტრატეგიაზე.

- აქტუალური იქნება რეგიონული კონცერტების და სხვა ფორმის შემოქმედებითი აქტივობებისა და ღონისძიებების გამართვა, რათა გაღრმავდეს თანამშრომლობები და გაიზარდოს აპლიკანტების რაოდენობა.

- გირჩევთ, შეამოწმოთ და შეასწოროთ ის ინტერნეტ ბმულები, რომლებიც მითითებულია თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტაციაში, რადგან მათზე წვდომა არ ხდება.

1.4 კრედიტების ლოგიკურად დაბალანსების მიზნით სასურველია პროგრამის კურიკულუმის გადახედვა და კრედიტების ხელახალი გადანაწილება სპეციალობის მოდულის სასწავლო კურსებში (ფორტეპიანო, ვოკალი, გუნდის დირიჟორობა), პროგრამის საჭიროებებზე ყურადღების გამახვილებით.

- პროგრამის კურიკულუმის გადასინჯვა და კრედიტების განაწილების კორექტირება შესაძლებელია მხოლოდ ხარისხის პოლიტიკის შემადგენელი დოკუმენტის განხილვის შემდეგ, ამიტომ სასურველია სასწავლო გეგმის ნიმუშის გადახედვა.

1.5 სასურველია სათაურის ინგლისური ვერსიის - “Choir class and team work” შეცვლა უფრო სათანადო სათაურით - “Choir class and working with a choir“

2.2 სასურველია თეორიულ დისციპლინებში ზოგიერთი შემოქმედებითი ამოცანის ჩართვა (მაგალითად, მცირე ნაწარმოების კომპოზიცია [ვარიაციები, ფუგა, მინიატურა] განხილული პერიოდის / კომპოზიტორის სტილში [ბაროკო, კლასიკა, რომანტიზმი] კურსში "მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი“).

- უაღრესად გონივრული იქნება, კურსდამთავრებულთა კარიერის შესახებ ინფორმაციისთვის თვალყურის დევნება და ანალიზი; გაიზარდოს სტუდენტთა მოტივაცია და ჩართულობა უფრო მრავალფეროვან სახელოვნებო აქტივობებში

4.1 თვითშეფასების ანგარიშში, 21-ე გვერდზე, გრაფაში მტკიცებულებები/ინდიკატორები, დოკუმენტი მოხსენიებულია სათაურით: „უკრაინის სოციალურ მუშაკთა ასოციაციების ეროვნული ასოციაციის წარმომადგენლობითი საბჭოს რეზოლუცია No173. 28.02.2018. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ“. უკრაინის - სავარაუდოდ ტექნიკური შეცდომაა. სასურველია იურიდიული დოკუმენტების შემოწმება, რათა დაწესებულება დარწმუნდეს, რომ ყველაფერი გასაგებია.

- სასურველია სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, დაწესებულებამ გაზარდოს პერსონალის რაოდენობა საგუნდო დირიჟორის, კლავიშებიანი, სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტების სპეციალისტების მიმართულებით.

4.3 პროგრამის განმახორციელებელ პერსონალში მეტი ახალი პროფესიონალის ჩართვა უდავოდ შექმნის პერსონალის განახლების თანმიმდევრულ და გონივრულ სტრატეგიას, სხვადასხვა თაობის და პროფესიონალიზმის დონის მქონე პირთა თანამშრომლობას და გააძლიერებს კვლევით/საშემსრულებლო საქმიანობას.

- სასურველია, შემუშავდეს რეზიუმეს (Curriculum Vitae) შაბლონი, რომელშიც იქნება დამოუკიდებელი განყოფილება, სადაც მიეთითება საშემსრულებლო საქმიანობა, რომელიც რეალურად შეესატყვისება სამეცნიერო შრომებისა და საქმიანობის დადგენილ კრიტერიუმებს; განყოფილებას შეიძლება ეწოდოს „მხატვრული ნამუშევრების სია“ და მოიცავდეს ქვე-სექციებს.

4.4 სასურველია No. 23 კორპუსის მოწყობა და მომზადება, რომელიც უნივერსიტეტმა უახლოეს მომავალში დაგეგმილ აქტივობად წარმოადგინა.

2. მეორე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიომეცნიერებების“ (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია) Applied Biosciences (Biotechnology)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	13.05.2021, №442166
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის ბაკალავრი/ Bachelor of Applied Biosicences and Biotechnology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ბიოქიმია 0512
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა N 59, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი N1, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი თამთა ცხოვრებაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ მონიტორინგის ვიზიტი განახორციელა ექსპერტთა ჯგუფმა იმისათვის, რომ შეესწავლა

განხორციელებული ქმედებები და რეკომენდაციების გათვალისწინების შემდგომი რეაგირება. მისი თქმით, ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება შეესწავლათ შუალედური ანგარიშის შედეგები. დაწესებულებამ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები შეასრულა, თუმცა რჩებოდა ერთი შეუსრულებელი რეკომენდაცია მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და საჭირო იყო ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი თანამედროვე ლაბორატორიებით უსდ-ს აღჭურვა. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებული ქონდა. სწავლის შეფასების მექანიზმის ნაწილში გამოიკვეთა ძირითადი მიგნებები, კერძოდ, საჭირო იყო სასწავლო კურსების კავშირის გადახედვა პროგრამის სწავლის შედეგებთან, განსაკუთრებით პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის მიმართულებით. გარდა ამისა, რეკომენდებული იყო ბიოეთიკის კურსის სტატუსის შეცვლა, კერძოდ მისი გადატანა არჩევითი სასწავლო კურსებიდან სავალდებულო სასწავლო კურსებში, რათა თანაბრად ყოფილიყო უზრუნველყოფილი სწავლის შედეგებზე გასვლა. ასევე, რეკომენდებული იყო, დაზუსტდეს და ჩამოყალიბდეს აწმყო დროში, აქტიური ზმნების გამოყენებით ერთ-ერთი საგნის, კალკულუსისა და კომპიუტინგის შესავალი და კომპიუტერული უნარჩვევების სასწავლო კურსების სილაბუსების დაზუსტება და ჩამოყალიბება და შესაბამისად, ამავე კურსების უზრუნველყოფა ახალი ლიტერატურით. თამთა ცხოვრებაძის თქმით, უნივერსიტეტმა აღნიშნული რეკომენდაცია გაიზიარა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
პროგრამის ხელმძღვანელი, ქეთევან ჩიქვინიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ყველა რეკომენდაციას იზიარებდა. 1.3 კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ტექნიკური უზუსტობა იკვეთებოდა სილაბუსებში, რაც დაწესებულებამ მალე გამოასწორა. მისი თქმით, ბიოეთიკის კურსს შეეცვალა სტატუსი და დაემატა სავალდებულო საგნების ჩამონათვალს. ასევე, კალკულუსისა და კომპიუტინგის შესავალი ნაწილი ჩამოყალიბდა აწმყო დროში აქტიური ზმნების გამოყენებით. ქეთევან ჩიქვინიძემ ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ყოველწლიურად ახდენდა ლიტერატურის განახლებას. სტუდენტს წვდომა ქონდა როგორც ელექტრონულ, ისე ჩვეულებრივ წიგნთან. ბაზების განახლებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს ქონდა 5 წლიანი გეგმა, რომელიც ფაკულტეტის საბჭოზე ადმინისტრაციასთან შეთანხმებით დამტკიცდა. წინა აკრედიტაციიდან დღემდე შეიქმნა უსაფრთხოების ლაბორატორია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:45
დასრულების დრო: 16:52

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიომეცნიერებების“ (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამაზე დაწყებული ადმინსტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიომეცნიერებების" (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გრაფიკის ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გრაფიკის ხელოვნება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.12.2011, №449
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება 0213 Fine Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32 თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა ირინე ებრალიძემ და მარინა მაისურაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ნინო ჭოღოშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე. მისი თქმით, ახალ მიგნებებს ადგილი არ ჰქონია. ყველა კომპონენტი შესაბამისობაში იყო სტანდარტებთან, თუმცა ერთადერთი რჩევა, რომელიც პროგრამის განვითარებას ეხებოდა, კერძოდ რიდერების შექმნას ქართულ ენაზე, არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ უნივერსიტეტს დაწყებული ჰქონდა მასზე მუშაობა. გარდა ამისა, სასურველი იყო აკადემიური პერსონალის დამატება გრაფიკის ხელოვნების მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი ნინო ჟვანია მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტს ჰქონდა 60 დღე განსაზღვრული იმისათვის, რომ ანგარიში გაეგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის განხორციელებული სამუშაოების შესახებ. ყველა დოკუმენტი გაზიარებული იქნა ექსპერტებთან. გრაფიკის ხელოვნების მიმართულებით აკადემიური პერსონალის დამატების საკითხი დაყენებული იყო აკადემიურ საბჭოზე. ნინო მატარაძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელის და დეკანის წარდგინება გაიგზავნა რექტორთან და უახლოეს დღეებში ჩაინიშნებოდა აკადემიური საბჭოს სხდომა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:00
დასრულების დრო: 17:02

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გრაფიკის ხელოვნების“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წამოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გრაფიკის ხელოვნების“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურა მედიაში“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურა მედიაში Culture in Media
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12.01.2021, №15470
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი PhD in Mass Communication
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა/ 0321 Journalism and Reporting
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის #19, 0108, საქართველო, თბილისი, აღმაშენებლის #40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ლაშა ჩხარტიშვილმა და თინათინ ჭაბუკიანმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი მაგდა მემანიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ გაცემული იყო 9 რეკომენდაცია და 6 რჩევა. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, 8 რეკომენდაცია და 5 რჩევა შესრულდა. მისი თქმით, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იყო 2 დოკუმენტი ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული. მისი თქმით, სტანდარტი ითვალისწინებდა კურსდამთავრებულების, სტუდენტების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოკითხვას, რომელთა შესახებ უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები. შესაბამისად, მე-9 რეკომენდაცია არ იყო შესრულებული. დუკუმენტების გამოთხოვას ექსპერტის მიერ ადგილი არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი ნატო გენგიური მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მე-9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა იხლმძღვანლემა აკრედიტაციის საბჭოს მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ რისი საშუალებაც არ ჰქონდა დაწესებულებას იმას ვერ გააკეთებდა, კერძოდ სწავლის შედეგების მონიტორინგის შედეგებს. აკრედიტაციის პროცესის დროს პროგრამის განახლების მიზნით გამოიკვეთა სწავლის შედეგები, და სამიზნე ნიშნულები. აკრედიტაციის პროცესზე წარმოდგენილი იყო დამსაქმებლების, ბაზრის კვლევის, პედაგოგების, სტუდენტების და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვები. დაწესებულებამ მხოლოდ ის დოკუმენტები წარადგინა აკრედიტაციის საბჭოზე, რომლებიც მოთხოვნილი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა ნინო ღაღანიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტს. მისი თქმით, დასკვნაში მე-7 გვერდზე მოცემული იყო, რომ მე-9 რეკომენდაცია არ იყო შესრულებული, ხოლო 26-ე გვერდზე ეწერა რომ ნაწილობრივ შესრულებული იყო. მას აინტერესებდა, მე-9 რეკომენდაცია არ იყო შესრულებული თუ იყო ნაწილობრივ შესრულებული. ექსპერტმა მაგდა მემანიშვილმა უპასუხა,

რომ მას ხელთ არ ჰქონდა შესრულებული დასკვნა იმისათვის, რომ გადაეხედა აღნიშნული ჩანაწერებისთვის. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შესრულდა და წარმოდგენილი იყო სამიზნე ნიშნულებთან დადარების დოკუმენტი. შესაბამისად, პროგრამამ სამიზნე ნიშნულებს მიაღწია. რეაკრედიტაციის ექსპერტების მიერ მე-9 რეკომენდაცია არ იყო გაცემული. ეს მხოლოდ აკრედიტაციის საბჭომ დაამატა. პროგრამის ხელმძღვანელმა გიორგი ჩართოლანმა აღნიშნა, რომ 26-ე გვერდზე წერია რომ ნაწილობრივ შესრულდა მე-9 რეკომენდაცია, რომელზეც ექსპერტს დამატებითი კომენტარიც კი ჰქონდა გაკეთებული. მისი თქმით, ყველა დოკუმენტი აკრედიტაციის საბჭოზე წარმოდგენილი იყო და უნივერსიტეტმა საჭიროდ აღარ ჩათვალა მისი ხელახლა წარმოდგენა. საბჭოს წევრმა ქეთევან ქუთათელაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენი სტუდენტი სწავლობდა პროგრამაზე და რამდენმა სტუდენტმა დაამთავრა პროგრამა. გიორგი ჩართოლანმა უპასუხა, რომ 4-მა დოქტორანტმა დაიცვა დისერტაცია და 8 მოქმედი სტუდენტი სწავლობდა პროგრამაზე. ნატო გენგიურმა მე-9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში და არა სრული დოკუმენტაცია. უნივერსიტეტი იმედოვნებდა, რომ თუ გაუგებრობა იქნებოდა რეკომენდაციების არშესრულების შესახებ, ექსპერტს შეეძლო გამოეთხოვა ნაკლული დოკუმენტები და უნივერსიტეტი მას მიაწვდიდა. საბჭოს წევრმა ქეთევან ქუთათელაძემ კითხვა დაუსვა ექსპერტს. მას აინტერესებდა, წარმოადგენდა თუ არა სამიზნე ნიშნულებთან დადარება სასწავლო კურსის შედეგების პირველი სტანდარტის დამადასტურებელ დოკუმენტს. მაგდა მემანიშვილმა უპასუხა, რომ სამიზნე ნიშნულებთან დადარება სასწავლო კურსის შედეგების პირველი სტანდარტის დამადასტურებელ დოკუმენტს არ წარმოადგენდა იმიტომ, რომ ნაწილობრივ ეს ეხებოდა მეხუთე სტანდარტს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:23
დასრულების დრო:17:25

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურა მედიაში“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნა მიღებული სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურა მედიაში“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები International Relations
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.11.2018, № 171
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი PhD in International Relations
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები - 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზ. № 8, №1; კორპუსი VI, I., თბილისი 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა მამუკა ხუსკივაძემ და ნინო ჭალაღანიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ირაკლი მანველიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ არაგეგმური მონიტორინგის პირობებში შესწავლილი იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა. მისი თქმით, შესწავლის პროცესში დამატებით გამოთხოვილი იქნა დოკუმენტები. დასკვნის პირველ ვარიანტში ჩამოყალიბდა ორი რეკომენდაცია. დაწესებულების მიერ გაზიარებული არგუმენტირებული პოზიციის განხილვის შემდეგ, მხოლოდ ერთი რეკომენდაცია დარჩა. შესწავლილი იქნა სამი სტანდარტი. მეტწილად შესაბამისობა გამოიკვეთა 2.4 კომპონენტთან დაკავშირებით. რეკომენდაცია ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: „სილაბუსში მიეთითოს ამომწურავი ინფორმაცია შეფასების სისტემის კომპონენტების, მეთოდების, კრიტერიუმებისა და შეფასების პროექტთა გრადაციის შესახებ ან დაერთოს შესაბამისი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ინფორმაციის მეტ გამჭვირვალობას.“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. პროფესორის ასისტენტობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საინტერესო მოთხოვნა იყო ექსპერტების მიერ, თუმცა აკადემიური თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, პროფესორებს ჰქონდათ იმის შესაძლებლობა, რომ ქულა დამოუკიდებლად დაეწერათ. თუ ეს ასე არ იქნებოდა მაშინ სილაბუსის შეცვლა მოუწევდა უნივერსიტეტს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ფაკულტეტზე მოქმედებდა ერთიანი სილაბუსი. ასეთი ნაბიჯის გადადგმა გამოიწვევდა ყველა სილაბუსის შეცვლას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, დასკვნაში ეწერა შემდეგი სახის რჩევა: „სასურველია გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა“. აღწერილობით ნაწილში მოცემული იყო, რომ „სავსებით ადეკვატურია თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასა და აკადემიურ პერსონალს შორის“. მან ექსპერტებს მიმართა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მოეწოდებინათ აკრედიტაციის საბჭოს წევრებისათვის. ექსპერტმა ირაკლი მანველიძემ უპასუხა, რომ მოცემულ ეტაპზე დოქტორანტების რაოდენობა და აკადემიური პერსონალის რაოდენობა სავსებით პასუხობდა პროგრამის განხორციელების ინტერესებს. პროგრამა ინტერდისციპლინური და სწრაფად განვითარებადი იყო, შესაბამისად, ამ სურვილით იყო გაცემული აღნიშნული რჩევა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:34

დასრულების დრო: 17:37

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგის განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 17:45 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი